აბულაშვილი – აბულაძე

აბულაშვილის გვარის ფუძეა საკუთარი სახელი აბულა, რომელიც „ საყავრეს მცხოვრებს“ ნიშნავს და მოხსენიებულია 1527-1556 წლებში.

„აბულაშვილმა ქიტუამ, აზნაურ ნასყიდა აღნიაშვილთან ერთად თავისი ბატონის, ბეროს დასტურით ბერ ყორღანაშვილს მიჰყიდა საწისქვილე მიწა ბოსტნით, ტყით და გზით“ (მეჩვიდმეტე საუკუნე).

1721 წლის აღწერით, ქვემო ქართლში მებატონე მემამულეებად მოიხსენიებიან აბულაშვილი ღთისია, აბულაშვილი რევაზა, აბულაშვილი გივი, აბულაშვილი ბარათა, აბულაშვილი გიორგი.

ამავე ძირისაა გვარი აბულაძე, ხოლო ამ გვარიდან კი გვარი – ობლიძეა წარმოქმნილი.

„აზნაურ ობლიძეების წინაპარნი იყვნენ იმერეთით აბულაძეთაგანნი შორეულნი მონათესავენი და მეორე აზნაურნი და ამათგანი ვინმე დაშთა ობლად და მივიდა ქართლსა შინა და დაესახლა, რომლის ობლობის გამო გაუგვარდათ ობლიძეობა. ვახტანგ მეფის დროს 1711 წელს არიან მოხსენიებულნი ტრაქტატსა შინა“.

საკუთარი სახელი აბულა თაისძე მოიხსენიება ნიკორწმინდის ტაძრის 1070-1080 წლების საბუთებში. ჯავახეთშია აბულის მთა. აბულაძეები იმერეთში 25 სოფელში ცხოვრობენ, არგვეთიდან დაწყებული ჭოლევით დამთავრებული.

აბულაძე აზნაურული წარმოშობის, ცნობილი და პოპულარული გვარია.

აბულაძე და აბულაშვილი სხვადასხვა გვარია.

საქართველოში 1 187 აბულაშვილი ცხოვრობს: სიღნაღში – 403, თბილისში – 286, ახმეტაში – 142. ცხოვრობენ სხვა რეგიონებშიც.

– 10 438 აბულაძე: თბილისში – 1 474, თერჯოლაში – 829, ზესტაფონში – 687.